პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მხედარი

1923
დეკემბერი.
2
კვირა
შესან. მოვლენთა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე
გარდა კვირა უქმე დღეებისა
9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 395 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 395

გერმანიის „ახალი“ მთავრობა.

შტრეზემანის კაბინეტის დაცემის შემდეგ, გერმანია რამოდენიმე დღეს უმთავრობოთ იყო. დღეს კი უკვე შედგა გერმანიაში წმინდა ბურჟუაზიული მთავრობა.

მთავრობის შემადგენლობა ასეთია: რეიხსკანცლერი მარქსი (ცენტრის პარტიის ლიდერი), მისი მოადგილე იარესი (შინაგან საქ. მინისტრი შტრეზემანის მთავრობაში, „უპარტიო ნაციონალისტი“), გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, რეიხსვერის მინისტრი გესლერი და სხ. როგორც ვხედავთ „ახალ“ მთავრობაში შედიან შტრეზემანის კაბინეტის თითქმის ყველა მინისტრები, თვით შტრეზემან ც კი. დარჩა რამოდენიმე მინისტრების პოსტები თავისუფალი, ვინაიდან უკანასკნელად დაბრკოლებები წარმოიშვა ნაციონალისტების და ბავარიის სახალხო პარტიის უარის თქმის გამო მთავრობაში მონაწილეობის მიღებაში.

ნაციონალისტები მთავრობაში შესვლის პირობათ მოითხოვდენ პრუსიის კოალიციონურ კაბინეტის გადადგომას, დ სოციალ-დემოკრატების გაძევებას მის შემადგენლობიდან. ნაციონალისტების ასეთ მოთხოვნილებას წინ აღუდგენ ცენტრი და დემოკრატები.

დემოკრატები აგრეთვე წინააღმდეგნი არიან ნაციონალისტების საიმპერიო მთავრობაში შესვლის, რადგან შიშობენ, რომ მთავრობა მეტად მარჯვნივ გადიხრება.

ჯერ კიდევ არ არის სავსებით შედგენილი „ახალი“ მთავრობა. ნაციონალისტები ჯერ არ არიან თანახმა მთავრობაში შესვლის. შევლენ თუ არა ნაციონალისტები მთავრობაში, ძნელია ამის თქმა. მაგრამ მარქსის კაბინეტის დღევანდელ შემადგენლობიდანაც უკვე ცხადია „ახალი“ მთავრობის სახე, მისი მომავალი პოლიტიკა.

გერმანიის ახალ მთავრობას საფრანგეთის ერთ-ერთი გაზეთი უწოდებს შტრეზემანის მთავრობას, მხოლოდ უშტრეზემანოდ. ეს დახასიათება ახალი მთავრობის სწორია. დიდი კოალიციის დაშლის, სოციალ-დემოკრატების შტრეზემანის მთავრობიდან გასვლის შემდეგ, შტრეზემანის მთავრობა წარმოადგენდა წმინდა ბურჟუაზიულ მთავრობას. თუმცა სოციალ-დემოკრატების ყოფნა მთავრობაში ხელს არ უშლიდა შტრეზემანს ეწარმოებია ფაშისტების და სტინნესების პოლიტიკა.

დიდმა კოალიციამ, სოც.-დემოკრატების ერთგული დახმარებით, გაანადგურა მუშათა მთავრობები საქსონიაში და ტიურინგიაში, ხელი შეუწყო ფაშისტების გაძლიერებას და ამოატივტივა გერმანიის ცხოვრების ზედა პირზე ფაშისტი გენერალი ფონ სექტ.

შტრეზემანის მთავრობის დაცემის შემდეგ ლაპარაკობდენ რეიხსტაგის გაშვებაზე და გენ. სექტის დიქტატურაზე. დღეს კი ეს ასე არ მოხდა. მაგრამ განსხვავება აქ მხოლოდ ფორმალურია, ფაქტიურად დღეს გერმანიაში ფაშისტების და სტინნესების მთავრობაა, სექტი გერმანიის დიქტატორია.

გერმანიის მუშათა კლასმა დროებით წამოიჩოქა. სოციალ დემოკრატიის ღალატის წყალობით. ფაშისტები დღეს გამარჯვებული არიან გერმანიაში. მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ დროებითია.

რევოლიუციის მთავარი ფაქტორები, ფინანსიური კრახი, სასურსათო კრიზისი და სხ. ისევ ძალაში რჩებიან. გერმანიის პროლეტარიატი კი აძლიერებს თავის რიგებს მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებისათვის. ეს დრო არც ისე შორსაა.

გერმანიის ამბები

— საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ორგანიზაცია მანიფესტაციისა, რომელიც უნდა მომხდარიყო ჟორესის ხსოვნის პატივსაცემლად

— ამ დღეებში „იუმანიტე“ გამოაქვეყნებს რუსეთის საიმპერატორო არხივის საიდუმლო მასალებს. რომლებიც ამტკიცებენ მეფის მთავრობის მფარველობას საფრანგეთის პრესის ნაწილზე

მთავრობის კრიზისი.

შტეგერვალდის უარის შემდეგ, რომ მას მიეღო რეიხსკანცლერის პოსტი, ებერტმა მიანდო მთავრობის შედგენა ცენტრის ლიდერს, მარქსს. კაბინეტის შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის სრული. მთავრობა შესდგება ცენტრის წარმომადგენლებისაგან, მასში შევა შტრეზემანის მთავრობის მინისტრთა უმრავლესობა.

მთავრობის შემადგენლობა.

გამოქვეყნებულია შემდეგი შემადგენლობა მთავრობისა: რეიხსკანცლერი—მარქსი, მისი მოადგილე — იარესი, საგარეო საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი, რეიხსვერის მინისტრი გესლერი, ფინანსთა მინისტრი—ლიუტერი, შრომის მინისტრი ბრაუნი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გეფფე.

უკანასკნელს დავალებული აქვს ოკუპაცია ქმნილ ოლქების საქმეთა მართვა.

იუსტიციის, გზათა, მრეწველობის, სასურსათო და აღორძინების მინისტრების პოსტები დაუკავებელია. ეს გამოწვეულია უკანასკნელ დროს წარმოშობილ დაბრკოლებებით. ნაციონალისტური პარტიის წევრი შილე, რომელიც იყო კანდიდატი სასურსათო მინისტრის პოსტზე, იძულებული გახდა, პარტიის გადაწყვეტილებით, უარეყო წინადადება, ამავე მიზეზით უარი განაცხადა კანდიდატურაზე ემინგერმა (ბავარიის სახალხო პარტია), რომელიც დასახელებული იყო კანდიდატად იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე, ვინაიდან პარტიამ პირობად დაისახა მთავრობაში შესვლა, მთავრობაში მონაწილეობით თუნდაც ნაციონალური პარტიის ერთი წარმომადგენლისა.

კაბინეთის შედგენა.

დამატებითი ცნობების თანახმად, მარქსმა მიწად მოქმედების და სასურსათო მომარაგების მინისტრის პორტფელი შესთავაზა ნაციონალისტ შილეს. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა დემოკრატი გაამი, ოკუპაციით დაპყრობილ ადგილების—ფუკო, იუსტიციის-ემინგერი ბავარიის სახალხო პარტიიდან.

სამინისტრო იქნება „უმცირესობათა კაბინეთი“ გამოსთქვამენ იმედს, რომ კაბინეთი შესძლებს გერმანიის მართვა-გამგეობას ახალ არჩევნებამდე.

კაბინეთი და ბავარიელები.

ბავარიელების ბრძოლა საიმპერიო მთავრობის წინააღმდეგ დამთავრდა, ბავარიის სახალხო პარტიასთან მიღწეულ შეთანხმებით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მთავრობაში დოქტორ ემინგერის სახით, იუსტიციის მინისტრის პოსტზე დანიშვნით.

მეორე ტალღა საერთაშორისო რევოლიუციისა.

(ამხ. ზინოვიევის წერილი).

გაზეთ „პრავდის“ მოწინავე წერილში—„მეორე ტალღა საერთაშორისო რევოლიუციისა“. ამხ. ზინოვიევი სწერს:

„ამა წლის ოქტომბერში, როცა გერმანიის რევოლიუციის პერსპექტივები იხატებოდენ მთელი თავისი გრანდიოზულობით, ჩვენი პარტია ახმაურდა, როგორც ერთი კაცი. იმას, თუ როგორი ანგარიში გაუწია რკპ—მ ამ პერსპექტივებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი წლის შემდეგ პარტიის უნდა გაეცა პასუხი საკითხზე, თუ როგორ უყურებდა ის მომავალ დიად რევოლიუციონურ ბრძოლებს. ეს იყო ფრიად სერიოზული პოლიტიკური გამოცდა, სადაც ისმებოდა საკითხი: ხდება თუ არა მართლაც პარტიული ორგანიზმის გადახალისება. რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ დაიჭირა გამოცდები. მისი პასუხი ერთსულოვანი იყო. მან მომენტს ანგარიში გაუწია ისე, როგორც უნდა გაუწიოს კომინტერნის ძირითადმა რაზმმა. ეხლა ნოემბერში შემთხვევით ტემპა შენელდა. გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია კვლავ განიცდის უმაგალითო დაბრკოლებებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი პარტიის ზოგიერთ ფენებში შემჩნეულია დეპრესია განსაკუთრებით ახალგაზრდობის შორის. ფრიად ოპტიმიზმიდან ვარდებიან მეორე უკიდურესობაში—შავ პესიმიზმში.

დიახ, ოქტომბერში ჩვენ გადავაფასეთ შემთხვევითი თემპები დ მთლად ვერ დავაფასეთ ის სიძნელენი, რომლებიც იდგნენ გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის გზაზე. ვადა იქნება უფრო გრძელი, ვინემ მოსალოდნელი იყო, თუმცა ეს გამოიანგარიშება არა წლობით, არამედ თვეობით. შეცდომების დაშვება ვადაში უხდებოდათ რევოლიუციონურ მარქსიზმის თვით გამოჩენილ წარმომადგენლებსაც კი, დაწყებული მარქსიდან“.

ქვევით ამხანაგ ზინოვიევს მოჰყავს ამხ. ლენინის შეფასება 1918 წლის ნოემბრის რევოლიუციისა და მიუთითებს, რომ ლენინი და ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვიყავით მაშინ, რომ პროლეტარული რევოლიუციის საქმე გერმანიაში მოგებული იყო

ვსწავლობთ რა მარქსსა და ენგელსს, ჩვენ გვესმის, თუ რატომ ასეთი შეცდომები—ვადის ტემპის გადაფასება—აუცილებელი იყო. ეს შეცდომები დაკავშირებულია იმაზე, რომ მარქსი და ენგელსი იყვნენ არა მარტო დიდი მეცნიერები და სოციალიზმის თეორეტიკები, არამედ დიდი რევოლიუციონერებიც. რასაკვირველია, ჩვენთვის დღეს, 1923 წლის ბოლოზე სულ ერთი არ არის საკითხები ვადაზე: მოხდება თუ არა გადამწყვეტი შემთხვევები ერთი ან ორი წლით ადრე თუ გვიან.

მაგრამ ისტორიულ... (გამოშვებულია) ძირითადი გადაფასებანი ჩვენი პარტიისა და კომინტერნის მიერ ოქტომბერში, რჩებიან სწორი. საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტი ფაქტორები განაგრძობენ მოქმედებას გერმანიაში რევოლიუციის სასარგებლოდ. მძიმე და ეკლიანია გზა, რომელზედაც მიდის გერმანიის პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტია ამ ჟამად, მაგრამ საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია.

გავითვალისწინებთ რა ამ შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ა. წ. სექტემბერში, ოქტომბერში და ნოემბერში ბულგარეთში პოლონეთში და გერმანიაში, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს შემთხვევები ერთად ნიშნავს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მეორე ტალღის დასაწყისს. პირველი ტალღა დაიწყო 1917 წ. და დამთავრდა 1920 წელს, რომელიც გადაეგორდა თავზე მთელ რიგს ევროპის ქვეყნებისას. პირველი ტალღის სათავე დაკავშირებული იყო მსოფლიო იმპერიალისტურ ომთან. თავისი სტიქიური გაქანებით ეს ტალღა ძლიერი იყო.

ერთ დროს ჩვენ სრული უფლება გვქონდა გვეფიქრა, რომ ტალღა გადაიყირავებდა ერთბაშად მთელი ევროპის ბურჟუაზიულ ძალა-უფლებას. მაგრამ კომუნისტების ხელმძღვანელობითი გავლენა ამ პირველ ტალღის დროს უმნიშვნელო იყო. თვით სიტყვა „კომუნისტი“ ხმამაღლად გაისმა პირველად არსებითად ევროპაში 1910 წელში. 1917—1920 წლების პერიოდში კომინტერნი ჯერ კიდევ ეწყობოდა. სპარტაკელთა გამოსვლები 1919 წლის იანვრის დღეებში იყო უმნიშვნელო უმცირესობის აჯანყება. 1917—20 წ.წ. ტალღამ ვერ შესძლო შეერყია კაპიტალიზმი ძირბუდიანად.

ის იყო მხოლოდ პირველი გაფრთხილება. შემდეგ მოდის რევოლიუციონური ტალღის დაცემის წლები—1921—1922.

1923 წლის პირველი ნახევარი—ეს არის საერთაშორისო რეაქციის უმწვერვალესი თარეში. კაპიტალის შემოტევა, სოციალ-დემოკრატიის გახრწნა, ძველ პროფკავშირთა ლპობა, შესუსტება... (გამოშვებულია).

დღევანდელი წონასწორობა ვერ არის მტკიცე. ახალი რევოლიუციონური ბრძოლები შორს არ არის. მეორე რევოლიუციონური ტალღა პირველიდან განირჩევა იმით, რომ საერთაშორისო კომუნიზმი ამ ჟამად ძლიერ—შეკავშირებულ გავლენას ახდენს შემთხვევათა მიმდინარეობაზე.

სტიქიური გაქანება მოძრაობის, რომელიც დაწყებული იქნა 1923 წლის მეორე ნახევარში, ეხლა გაცილებით სუსტია, ვინემ 1917—1920 წ.წ. იყო, როდესაც პირველი ტალღა უშუალოდ დაკავშირებული იყო იმპერიალისტურ ომთან. მაგრამ პროლეტარული ავანგარდის შეკავშირების და კომუნისტური თვითშეგნების ელემენტი დღეს გაცილებით ძლიერია. მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მოწინავე რაზმების მიერ დაგროვილი გამოცდილება კიდევ გამოჩნდება ახლო მომავალ-

ორი ახალი მინისტრიც ბრაუნი და გეფლე ბავარიელები არიან.

„ფორვერტსის" სურვილი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფორვერტსი" გამოსთქვამს მარქსის კაბინეტისადმი სურვილს, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით მოუღონ ბოლო მთავრობის კრიზისს.

ეკონომია მთავრობაზე.

ბრაუნშვეიგის ლანდტაგის ბურჟუაზიულ პარტიებმა შეიტანეს წინადადება შეამცირონ მინისტრთა რიცხვი სამამდე.

ურეიხსტაგოთ.

კონსერვატორებმა თავი მიანებეს კაბინეტის შედგენის შესახებ დიდ სიძნელეზე ლაპარაკს და უკანასკნელის მიმართ დაიჭირეს მეგობრული ნეიტრალური პოზიცია. ამნაირად კაბინეტის ბედი დამოკიდებული იქნება სოციალისტების მოთმინებაზე. კონსერვატორებს განზრახვა აქვთ მოითხოვონ ახალი კანონ პროექტის მიღება, რომლითაც მთავრობას უფლება ექნება იმოქმედოს რეიხსტაგის დაუკითხავად.

„გერმანიის თვითდახმარება".

გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ და გერმანიის ცალკე მთავრობების რესპუბლიკებმა შეერთებულად გამოუშვეს მოწოდება გერმანიის ხალხისადმი, რომელიც მოუწოდებს მოსახლეობას მხარი დაუჭირონ მთავრობის ორგანიზაციას, რომელიც მიმართულია სამრეწველო კრიზისის წინააღმდეგ და იწოდება „გერმანიის თვითდახმარება"-დ.

ნაციონალისტების განცხადება.

მთავრობის კრიზისის მოგვარებამდი, რეიხსტაგის ნაციონალისტური ფრაქცია ღია წერილში ებერტისადმი მიუთითებდა გერმანიის კატასტროფიულ მდგომარეობაზე და მთავრობაში კრიტიკულ მდგომარეობის იოგვარების დაგვიანების საშიშროებაზე. წერილში ნათქვამია, რომ მოსახლეობის სულიერი გადაწყვეტილება მოითხოვს ორიენტაციას მარჯვნით და ამიტომ პრეზიდენტმა უნდა მიანიჭოს სრული უფლება ახალ შემდგარ მთავრობას რეიხსტაგის დაშლის საქმეში. ამ პირობებში ნაციონალისტები გამოსთქვამენ მომავალ მთავრობაში შესვლის თანხმობას.

ებერტის პასუხი.

თავის საპასუხო **წერილში ნაციონალისტებისადმი** ებერტი **სხვა**თა შორის ამბობს, რომ მან მიანდო მთავრობის შედგენა მარქსს იმის შემდეგ, რაც სხვა ყოველგვარ ცდებმა კაბინეტის შედგენის საქმეში უნაყოფოთ ჩაიარა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ნორვეგია.

ნორვეგიის სტორტინგმა ერთხმად დაადგინა დაიწყოს დანიასთან მოლაპარაკება გრენლანდის საკითხის გარშემო, საბოლოო შეთანხმების მიღწევის მიზნით.

რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობა.

გაზეთი „სოციალ დემოკრატი" აშკარავებს რეაქციონრების ცდებს —ხელი შეუშალოთ რუსეთ-ფინეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის, აღნიშნავს რა მემარჯვენეთა პრესის მიერ თავის დროს წარმოებულ კომპანიას საბჭოთა რუსეთში შეშის შეზიდვის წინააღმდეგ, გაზეთი მიუთითებს, რომ ამ ჟამად იგივე პრესა, აგრარულ წრეების იძულებით, აწარმოებს კომპანიას საბჭოთა პურის შეზიდვის და აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ გაზეთი დაჟინებით მოითხოვს ხელშეკრულების დადებას საბჭოთა პურის შეზიდვის შესახებ განუსაზღვრელ რაოდენობით, მოუსავლობის გამო ფინეთში.

იმპერატორის არქივი.

5 დეკემბრიდან „იუმანიტე" დაიწყებს რუსეთის საიმპერატორო არქივის საიდუმლო მასალების გამოქვეყნებას, რომელშიაც მტკიცდება, რომ საფრანგეთის პრესის ნაწილი ინახებოდა მეფის მთავრობის ხარჯზე.

საფრანგეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის მოწოდება.

მთავრობის რეპრესიების გამო შრომის ფედერაციის წინააღმდეგ, საფრანგეთის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს სოლიდარობას ფედერაციასთან და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეთანხმებული მუშაობა ანტიმილიტარისტული კომპანიის საწინააღმდეგოთ მოსალოდნელ გამოწვევის დროს გაძლიერებულ იქნება.

შარლ ჟიდი რუსეთში მოგზაურობის შესახებ.

რუსეთიდან დაბრუნებული საფრანგეთის გამოჩენილი ეკონომისტი შარლ ჟიდი, „იუმანიტეს" თანამშრომელთან საუბარში აღფრთოვანებით იხსენიებს თავის მოგზაურობას რუსეთში. ჟიდის სიტყვებით რუსეთში კოოპერაცია ბრწყინვალედ ვითარდება; კომუნისტები მტკიცედ ატარებენ პროლეტარიატის დიქტატურას და ზრუნავენ განსაკუთრებით მშრომელთა ინტერესებზე. ცხოვრება ნორმალურია. ჩერვონეცი გაცილებით მაგარი ფულია, ვინემ ფრანგული ფრანკი. სასურსათო საქმეში არავითარი ნაკლულოვანება არ არსებობს; მისი მომეტებული ნაწილი იგზავნება საზღვარ-გარეთ.

ბავშვები კარგად არიან შენახული. წითელ არმიელები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ და სრულებით არ ჰგვანან იმპერიალისტურ ქვეყნების „სალდათებს".

ბურჟუაზიულმა პრესამ გადაბეჭდა ინტერვიუ ჟიდთან.

მანიფესტაციის აკრძალვა.

საფრანგეთის მთავრობამ აუკრძალა ადამიანის უფლებათა დამცველ ლიგას ჟორესის სახსოვრად მანიფესტაციის მოწყობა, და აგრეთვე სამახსოვრო დაფის მიჭედება სახლზე, რომელშიაც მოკლულ იქნა ჟორესი.

საფრანგეთსა და ს. ს. რ. კავშირს შორის დამოკიდებულება.

საფრანგეთის მსხვილი ფირმათა წარმომადგენლებმა, რომლებიც აწარმოებდენ ვაჭრობას ს. ს. რ. კ—სთან გადასწყვიტეს შეერთებულად შეისწავლონ საფრანგეთსა და ს. ს. რ. კ—ს შორის ეკონომიური დამოკიდებულება და აგრეთვე მოაგვარონ ინფორმაციის საქმე რაიც აუცილებელია საფრანგეთ-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის განახლებლად სრული მოცულობით.

შეცდომის გასწორება.

გაზ. „წითელ-არმიელის" 30 ნოემბრის პარასკევის №-ს პრესაში ქვევით გაიპარა შემდეგი კორექტორული შეცდომა.

დაბეჭდილია: „მაგრამ პირველ წლებს მოყვებიან სხვა წლებიც, რომლებიც დააგვირგვინებენ ჩვენს დამყაყებულ მუშაობას, უნდა იყოს: მაგრამ პირველ წლებს მოყვებიან სხვა წლებიც, რომლებიც დააგვირგვინებენ ჩვენს დაწყებულ მუშაობას.

პრესა

ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა.

მეფის მთავრობამ სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად, საბჭოთა მთავრობას გადმოსცა სენი — წერა-კითხვის უცოდინარობისა.

საბჭოთა რესპუბლიკების მრავალ მილიონიანი მასსები უვიცობის ბურუსში იყვნენ გახვეული. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ აუხილა მათ თვალი, გამოიყვანა ისინი ბნელეთიდან და აამოძრავა მათი მიდუნებული ენერგია. მთავარი ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მასსების გამოსაფხიზლებლად იყო და არის წერა-კითხვის უცოდინარობის ძირფესვიანად აღმოფხვრა. ამხ. ლენინმა წამოაყენა ლოზუნგი: **ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ უნდა იყოს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.** ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან დიდ ენერგიას და კოლოსალურ საშუალებებს. ამ დიად საქმის განსახორციელებლად უნდა ამოძრავდეს ყველა ინტელიგენტური ძალები საბჭოთა რესპუბლიკების. ამის შესახებ ამხ. სტეკლოვი „იზვესტია"-ში სწერს:

ჩვენი მასიური წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არის საბჭოთა რესპუბლიკებისათვის სახელის საკითხი. მაგრამ არა მარტო სახელის, ამავე დროს არსებობის შენარჩუნების საკითხიც. ეს ამავე დროს სამეურნეო და სააღმშენებლო, ეკონომიკის საკითხია. არ შეიძლება სოციალისტურ საზოგადოების შექმნა საწარმოო ძალთა აღორძინების გარეშე. მაგრამ ვინაიდან მთავარ საწარმოო ძალას წარმოადგენს ადამიანი, ცხადია, თუ რამდენად აფერხებს ჩვენი მასიური წერა-კითხვის უცოდინარობა, ჩვენი მეურნეობის წინსვლას და ანელებს ახალ შრომის სამეფოს შექმნის პროცესს.

საბჭოთა რესპუბლიკებში წერა-კითხვის უცოდინარნი ყველგან ბევრია, მაგრამ ისინი მეტად ბევრია სოფლად.

ამისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს, სადაც წერა-კითხვის უცოდინარობა აღწევს გაუგონარ სიდიდეს. რამდენიმე ნაციონალურ ოლქებში კი მცხოვრებთა 20 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია.

არც ჩვენი რესპუბლიკაა ამ მხრივ კარგ პირობებში. საბჭოთა ხელისუფლება ამისკენ აქცევს დიდ ყურადღებას და ამხ. ლენინის ლოზუნგი, იმედი გვაქვს, ხორც შესხმული იქნება.

ში. ჩვენ კიდევ ვხედავთ შემთხვევებს, რომლებიც ზოგიერთ ბრძენ მოაზროვნეებს ყოვლად შეუძლებლად მოეჩვენებათ და ჩვენ უსათუოდ მოვესწრებით იმას, რომ მთელი დიდი სოციალ-დემოკრატიული პარტიები ბავშვების სათამაშო ხუხულებ ვით დაიშლებიან და ის მუშები, რომლებიც კიდევ ნდობის თვალით უყურებენ სოციალ-დემოკრატებს, იწყებენ დენას ჩვენს ბანაკისაკენ.

მოძრაობა ბულგარეთში და პოლონეთში ამ ჟამად ჩახრჩობილია. გერმანიაში ზეიმობს სექტი. მაგრამ ეს შემთხვევები მაინც ითვლება საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მეორე ტალღის დასაწყისად. შემთხვევათა ტემპი საკმაოდ სწრაფია. ჩვენი რევოლიუციონური მოუთმენლობა სრულიად ბუნებრივია. მაგრამ ობიექტიურად თუ ვიტყვით, შემთხვევები საკმაო სისწრაფით ვითარდებიან. არ გასულა ორი თვეც ბულგარეთის აჯანყების სასტიკად ჩაქრობის შემდეგ, რომ ბულგარეთის კომუნისტებმა უკვე (გამოტოვებულია)... ბლოკი კომუნისტების და გლეხებისა და არჩევნებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

რაზედაც რუსეთის მუშებსა და გლეხებს 1905 წლის დამარცხების შემდეგ დასჭირდათ რამოდენიმე წელიწადი, იმაზედ ბულგარეთს დასჭირდა რამოდენიმე კვირა. უსათუოდ ასე მოხდება გერმანიაშიც. მუშები რეაქციის დაკვრის შემდეგ გაცილებით უფრო ჩქარა გასწორდებიან, ვინემ ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. არ არის საჭირო წინასწარმეტყველი იყო იმისთვის,, რათა თამამად სთქვა, რომ მომავალ ზამთრისა და გაზაფხულისათვის გერმანიაში იფეთქებს მასიური რევოლიუციონური მოძრაობის ძლევა-მოსილი ნაღმი. მოდის მეორე ტალღა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისა. ჩვენ ჯერ ვდგევართ მხოლოდ მის სათავესთან. ვინაიდან ის ვერ აგორდა იმ სიმაღლეზე, რომელიც საჭიროა პროლეტარიატის გამარჯვებისათვის, ამიტომ დაქანდა რამოდენიმე მანძილით უკან. მაგრამ აუცილებელია ახალი აზვირთება. მოდის მეორე ტალღა. ეს კიდევ არ არის მეცხრე ტალღა, ეს კიდევ არ არის მსოფლიო ოქტომბერი, მაგრამ ეს არის გიგანტიური მიახლოვება მსოფლიო ოქტომბრისადმი. და ეს მეორე ტალღა რევოლიუციისა სასტიკ კვეთებით ააყირავებს ევროპის კაპიტალიზმის შენობას.

ეს შენობა გადაინგრევა უსათუოდ. კიდევ არა ერთხელ და არა ორხელ შევცდებით ჩვენ ვადის საკითხში, მაგრამ ძირითად საკითხში ჩვენ არ შევმცდარვართ, არ ვსცდებით და არც შევცდებით.

მეტი რომ არა ვთქვათ, 1923 წლის სექტემბრის შემთხვევები — ეს არიან უდიდესი ეპიზოდები საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისა.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ლორდ კერზონის ცნობილი ულტიმატუმი. გათავხედებული ლორდი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, მას სურდა საბჭოთა რესპუბლიკების დამორჩილება, ის მიილტვოდა ჩვენთან ყოველგვარ კავშირის გაწყვეტისაკენ. კერზონის თავხედურ გამოსვლას მაშინ მოჰყვა ამხ. ვოროვსკის ვერაგული მკვლელობა. ამ ფაქტებმა განუსაზღვრელი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებში. საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანობის დაცვისათვის დიდ დათმობებზე წავიდა (ასეთი იყო სურვილი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელების) ინგლისის მიმართ და კონფლიქტი დროებით მოგვარდა.

დროებით, ვამბობთ ჩვენ, ვინაიდან ცხადია, რომ ბურჟუაზიული ინგლისი ვერასოდეს ვერ შეურიგდება მშრომელთა ხელისუფლების არსებობას. და თუ ეს მოხდა იმისათვის, რომ ინგლისის ბურჟუაზია იძულებული იყო ჩვენთან ისევ „მშვიდობიანად" გათავებინა საქმე, ამას მოითხოვდა, სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებიც. მაგრამ ჩვენთვის ცხადი იყო, რომ კონსერვატიული ინგლისი ყოველთვის, როცა ამის შესაფერი დრო დადგებოდა, ისევ გაიმეორებდა ჩვენს მიმართ თავის თავხედურ გამოსვლებს.

ინგლისის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი (ლიბერალები) მომხრეა საბჭოთა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების. მეორე კი (კონსერვატორები) უფრო შეურიგებელ გზას ადგია ჩვენს მიმართ. დღეს ინგლისში კონსერვატორების მთავრობაა და ამით აიხსნება ინგლისის და ჩვენი ურთიერთობის არა ნორმალური მსვლელობა.

როგორც ვიცით ა. წ. აგვისტოში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად ინგლისში დაინიშნა ჩვენი პარტიის ერთი ბელადთაგანი ამხ. რაკოვსკი. ინგლისის რეაქციონური პრესა აღშფოთებული იყო მაშინ ამხ. რაკოვსკის დანიშვნით. ინგლისის მთავრობამ პირველ ხანებში არ მისცა ამხ. რაკოვსკის ვიზა, მაგრამ ბოლოს ის იძულებული იყო მიელო ამხ. რაკოვსკი.

მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც აჭიანურებს მოლაპარაკებას ჩვენთან, ისევ ორჭოფობს და ერთ გადამწყვეტ ნაბიჯს არ დგამს საბჭოთა მთავრობასთან მტკიცე ურთიერთობის დამყარებისაკენ. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრ კერზონს დღემდის არ მიუღია ამხ. რაკოვსკი, მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. რაკოვსკიმ ბევრჯერ განაცხადა ამის სურვილი.

გარეშე საქ. მინისტრის ამხანაგი მაკ-ნეილი ლაპარაკობს, რომ რაკოვსკი მხოლოდ სავაჭრო წარმომადგენელია.

ამის შესახებ ამხ. ჩიჩერინი ერთერთ გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აცხადებს, რომ მაკ-ნეილის განცხადება არ შეეფერება სინამდვილეს, და თუ ამხ. რაკოვსკი დღემდის არ მიუღია კერძოთ და ის იძულებულია დამოკიდებულება იქონიოს კერზონის ხელქვეით პირებთან ეს აიხსნება არა იმით, რომ ამხ. რაკოვსკის ამის იურიდიული უფლებები არ აქვს, არამედ იმით, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ სურს აწარმოოს მოლაპარაკება ჩვენთან ნორმალურ ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის დასამყარებლად.

ჩვენი მთავრობა მიდის დათმობებზე ბურჟუაზიულ ქვეყნებთან იმისათვის, რომ მათთან სავაჭრო დამოკიდებულების მეოხებით აღორძინოს ჩვენი მეურნეობა. საბჭოთა მთავრობამ ასეთი სურვილი ბევრჯერ განაცხადა. მაგრამ იმპერიალისტურ ქვეყნებს მაინც არ სურთ ჩვენთან მტკიცე დამოკიდებულების დამყარება.

ჩვენი მთავრობის მოქმედება მომავალშიაც ასეთი იქნება. მაგრამ რაც დრო გავა მით უფრო ნაკლებ დათმობებზე წავალთ ჩვენ, ვინაიდან ჩვენი მრეწველობა დღითი დღე მიდის წინ. ინგლისთან ჩვენ, გვსურს მშვიდობიან, სავაჭრო და პოლიტიკურ დამოკიდებულების დამყარება. ამას მოითხოვს ინგლისის ვაჭრობის და მრეწველობის სასიცოცხლო ინტერესებიც. ინგლისის ბურჟუაზიის ნაწილი ამას კარგად გრძნობს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ ადრე თუგვიან ბრიტანეთის მთავრობა დაგმობს დღევანდელ მოქმედებას და სულ სხვა ენით დაიწყებს ჩვენთან ლაპარაკს.

ს. პ.

ჩვენს წითელ ჯარში

ვაჟა ასეთს უფროსს!

ქართ. მსუბ. საარტ. დივიზ. მეორე საველე ბატარეის უფროსის თანაშემწე ამხ. რატიშვილი საყვარელი ადამიანი შეიქმნა ყველა წითელ-არმიელებისათვის, იგი, როგორც შეშვენის ნამდვილ უფროსს მუდამ ტკბილად ესაუბრება წითელ-არმიელებს, როგორც სპეციალურ ცოდნაზე, ისე სხვა და სხვა კითხვებზე და შეაქვს ცოდნა უნცროს ამხანაგებში, რომლითაც დიდი სიყვარული აქვს დამსახურებული ყველაში და საკმარისია ხოლმე ბატარეიაში მისი გამოჩენა, რომ ყველა სიხარულით შეეგებოს.

გაუმარჯოს ასეთს უფროსს!

ხაჭაპური.

ნავთლუღის სამხედრო საავადმყოფოს ცხოვრებიდან.

ჩვენი საავადმყოფო მეტად კარგ პირობებში იმყოფება. თანამშრომლები ერთგულად ეპყრობიან თავიანთ საქმეს. ზედმიწევნით დაცულია სისუფთავე, როგორც შიგნით პალატებში ისე გარეთ. მოსამსახურეები თავის დროზე ეცვლებიან ერთმანეთს და რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, ისინი დიდ მზრუნველობას იჩენენ ავადმყოფ წითელ არმიელების მიმართ. არც ერთი წითელ არმიელის თხოვნა შეუსრულებელი არ რჩება შესაძლებლობის ფარგლებში. თვით ექიმებიც დიდ ყურადღებას იჩენენ.

პოლიტსაათები.

პოლიტიკური მუშაობა თავის შესაფერ სიმაღლეზე სდგას. თითეულ პალატაში სამჯერ იმართება კვირაში ლექციები პოლიტიკურ თემებზე. არმიელებიც მეტად დაინტერესებული არიან ლექციებით.

დრამწრე.

საავადმყოფოში არსებობს აგრეთვე დრამატიული წრე, რომელიც ხშირად მართავს წარმოდგენებს.

საავადმყოფოს კინოც აქვს. კვირაში სამჯერ გვაჩვენებენ სურათებს, რაც ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელ არმიელებზე.

სამედბეზოვი.

ახალი ინსცენირება.

№ ლეგიონის კლუბი სავსეა მხედრებით.

სამხკომმა დაათავა მოხსენება გერმანიის მდგომარეობაზე.

აიწია ფარდა.

სცენაზე არიან შტრეზემანი, სტინესი და ლიუდენდორფი, რომელნიც შეშინებული არიან კომუნისტების უკანასკნელ გამოსვლებით და საფრანგეთის წარმომადგენელს ეხვეწებიან დახმარებაზე.

— ინებეთ მარკიზ დე-პლანჟე, რომელი პროვინციაც გნებავთ, ფეშქაშად, ოღონდაც დაგვეხმარეთ ამ მუშების და მათ წამქეზებელ კომუნისტების დამორჩილებაში — დაჩოქილი ეხვეწება შტრეზემანი.

— საკმარისია, რომ ჩვენ კლასიურად ერთნი ვართ... ხე! ხე! ხე!... — ხელების ფშვნეტით ხითხითებს გუგო სტინესი.

— აი ბატონებო, მომწონს თქვენი თავაზიანი კილო. კომუნიზმი ერთნაირი მტერია როგორც თქვენი, ისეც ჩვენიც. მე სიამოვნებით გადავცემ დღესვე, მუსიო, რაიმონდ პუანკარეს თქვენს თხოვნას — ამბობს გახარებული წარმომადგენელი და ლორნეტით ათვალიერებს ყველას; მისი კომიკური მანჭვა — გრეხა და ჩვენივე წითელ-არმიელის მოხდენილი თამაში დაუსრულებელ სიცილს იწვევს.

— ბატონებო! მაშ დავძრავ ბავარიიდან ჩემ ფაშისტურ რაზმებს და სისხლში ჩავახრჩობ ამ არამზადებს. გაუმარჯოს კაიზერ ვილჰელმ ჰოჰენცოლერნს. ჰოხ, დოიჩლანდ!!! — ყვირის გენერალი ლიუდენდორფი და იძრობს ხმალს. ყველანი შესძახებენ.

— გაუმარჯოს კაპიტალიზმს!

მაგრამ ამ დროს მოისმის ქუჩიდან სროლა და ყიჟინა მუშებისა, რომელნიც რეიხსტაგისკენ მოიწევენ. ბერლინის რუხ ქუჩებზე იგება ბარიკადები და ფრიალებს წითელი დროშა. ეს დაუსრულებელ სიცილს იწვევს პარტერში. გენერალი გავარდება გარედ. სცენაზე ბნელდება. უკანა კედელი იღება და მოსჩანს სურათი: ფაშისტი ჰკლავს მუშას, ამ დროს პარტერიდან მიუთითებს ყველას, ერთ ერთი, და იძახის:

— ამხანაგებო! დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს და აი მაშინ რა იქნება!.. კედელი იხურება და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იხსნება. ყველა გამყიდველები ძირსა ყრიან და ზედ შემდგარა გამარჯვებული მუშა, რომლის ხელშიც ფრიალებს ცეცხლმოკიდებული დროშა, შორიდგან მთაზე გადმომდგარა წითელი არმიელი და გამარჯვებას ულოცავს.

— ამხანაგებო! მალე იქაც დაიჭექებენ ჩვენი ზარბაზნები! — იძახის პარტერიდან კვლავ იგივე ხმა და გაისმის ინტერნაციონალი, რომელსაც ყველა აჰყვება.

სანი

მეორე ლეგიონში.

20 ნოემბერს შესდგა საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო 1. საერთაშორისო მდგომარეობა და 2. არჩევნები. ქალაქის საბჭოში დეპუტატების არჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პარტკომიდან გამოგზავნილმა ამხ. ხარაბაძემ, რომელმაც ვრცლად და მკაფიოთ აღნიშნა საერთაშორისო მდგომარეობა და განსაკუთრებით შეჩერდა გერმანიის ამბებზე და მასზე დაკავშირებულ ს. ს. რ. კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობაზე.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენ, მეორე ლეგიონის უფ. და პოლიტშემადგენლობა და წითელ არმიელნი ფიცსა ვსდებთ, რომ მტკიცეთ დავიცვათ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და ყოველ წუთს მზადა ვართ ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოებზე ფხიზლად გვეჭიროს თვალი, რომ მუშათა კლასის მტრებმა არა ავნონ-რა ჩვენს აღმშენებლობას და სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ძმური კავშირის გაბმას.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. ელიაშვილმა და ჭანიშვილმა, რომელთაც გააცნეს კრებას საბჭოების და არჩევნების მნიშვნელობა, რის შემდეგ არჩეულ იქნენ დელეგატებად, შემდეგი ამხანაგები: 1. ელიაშვილი, 2. ჭანიშვილი, 3. უგულავა, 4. გ. რამიშვილი, 5. მოწყობილი, 6. ზალინაშვილი, 7. ჭაავა, 8. გ. სიხარულიძე, 9. მარკოზია, 10. ა. გურგენაძე, 11. ლეშქაშელი, 12. ცინცაძე ტრ. 13. მ. ალანია, 14. რაზმაძე. კანდიდატებად: 1. ი. ნიკოლეიშვილი, 2. ა. რატიანი, 3. გ. ჭკადუა, 4. სხვიტარიძე და ცინცაძე.

არჩევნების შემდეგ გარჩეულ იქმნა მიმდინარე საკითხები და კრება დაიხურა.

გ — ძე.

არტილერისტების ცხოვრებიდან.

ღამეა.

მთვარე ვერცხლის შუქით დაჰყურებს ქალაქს.

საარტილერიო ყაზარმები ბუმბერაზებივით გადმომდგარან მაღლობზე მრისხანე ზარბაზნებით და იცავენ მშრომელთა უბანს. ყველასა სძინავს... მხოლოდ გუშაგები სერავენ ელვის თვალებით, არე-მარეს.

არ სძინავთ რამდენიმე არმიელსაც, რომელნიც შეკრებილან „წითელ კუთხეში“, ბაასობენ და ურთ-ერთს უზიარებენ შთაბეჭდილებას დედამიწის შექმნის შესახებ, რომელიც იქმნა წაკითხული წინა დღით კლუბის გამგე გაბუნიის მიერ.

— რაც ვაზიანიდან ჩამოვედით, ჩემო გრიშა, ეხლა ამუშავდა მხოლოდ ჩვენი კლუბი.

შემდეგ გადავიდენ „კოტე მამალაძეს“ გასამართლების შესახებ, რომელიც ამ დღეს მოახდინა ლიტწრემ.

— თუ ეხლა იქნება ი ვილაცა მამალაძეა ვაჩვენებდი მას! — მუქარით ამბობს კოლია.

— თქვენ რაც გინდათ სთქვით ბიჭებო და მეკი... სწორედ კმაყოფილი ვარ ამ ჩვენი ძმა მუშების ჩვენთან კავშირით... მართლაც, რომ ღირსნი არიან ქებისა კოლოფის მკეთებელი მუშები...

— ერთი ამას უყურეთ როგორ უხარიან?

— მაგას ის მაღალი ქალი რომაა ის მოსწონს და...

გაისმა მხიარული სიცილი.

ვანომ თავი ჩაღუნა.

— ყველა, ყველა მაგრამ ეს ჩვენი უფშემადგენლობა რიდ გაურბის.

— აბა, ამხანაგებო, საგუშაგოებზე!

გაისმა გამრიგებელის ხმა.

დე-კოხნარი.

წითელი ლეგენდა

(პოემიდან: ,,ეშაფოტი'')

ქარს აეშვა იალქნები... და ზე ვით ქარვა
იმსხვრევა მზე, ავადმყოფი, ჭიაფერი თმით;
სულ დღეებს მიაქვთ ნისლში დროთა მიქარვა,
და გიჟები ეშაფოტებს აგებენ რითმით!..

* * *

აეთამაშა გველი, საყურით... —
კედელთან ტყვია ჰკოცნის იუდებს;
და მიწა დედა, ლავად ნახული,
ჰკივის...—ქალაში მატლი იბუდებს!..

—

მეფეს აუტყდა ტვინის ანთება...—
მემკვიდრე უკვდავ სადღეგრძელოს სცლის;
ძლევის ყიჟინა შორს იფანტება,—
და აწმყო ტირილს ანათემა სცლის!..

—

წითელ მანტიით მოდის პრინცი.. და
შეშლილი ალი იცვამს გალიფეს;
ელვა ეშვება ციკლონზე, ციდან,—
სალტო-მორტალით სჯიან ხალიფებს!..

—

კატაკომბებში ცოდნის ლევენ... და
ცეცხლები ჩნდება მკვდართა მძორებით;
ალბად ითქმება შექმნის ლეგენდა
ბანოვარების ტერთა ზმორებით!..

—

მახვილი ჰკაფავს ზვიად ბუფერებს—
მხედარს ბრძოლებში უყვარს ამება;
უშტატო ღმერთებს არვინ უფერებს,—
ჯვარზე პოეტის მოსჩანს წამება!..

—

გზა—ჯვარედინზე ისმის გინება...
აჯანყებული სდგას ბრბო; მილეთის;
ყველა მგზავრსა სთხოვს აქ შერკინება:
—ო, მისტერ, შესდექ!.. თქვენი ბილეთი?!

* * *

ქარს აეშვა იალქნები... და ზე მთვარეს ყბა
მოგრეხია...—და თუმც თითონ არვის არა ვნებს,—
დასცინიან ლურჯ სარკეში, სადაც სისხლის ტბა
ერეკება დაღუპვისკენ ღრუბელთ ქარავნებს!..

სეზმან ერთაწმინდელი

ახალი ამბები

გლეხთა კომიტეტებისათვის.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დაავალა სრულიათ რუსეთის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის რწმუნებულს საქართველოში ამხ. ხასკინს საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებისათვის ჩამოუტანოს კომისარიატს მოსკოვიდან ყველა ის მასალები რომელიც დაიბეჭდა და გამოიცა რუსეთში გლეხთა კომიტეტების მოწყობის და მუშაობის შესახებ.

გლეხთა სასახლე ტფილისში.

სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა ტფილისში გლეხთა სასახლის მოწყობა ცნობილი იქნეს აუცილებელ საჭიროებათ. ამ საქმის განსახორციელებლათ კომისიაში არჩეულია: ამხ. საბაშვილი, კ. ხომერიკი, ვ. სტურუა, მამულია და ჟარძიელი.

უმუშევართა მოძრაობა..

30 დეკემბერს შრომის ბირჟაში ახლად ჩაეწერა 43 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაოზე—36.

საპროცენტო გადასახადიდან განთავისუფლება.

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაადგინა ყველა ის გასართობები, რომლებიც პროლეტარულ სტუდენტების სასარგებლოთ გაიმართება განთავისუფლებული იქნენ საპროცენტო გადასახადისაგან.

წინასწარი თათბირი მევენახეთა ყრილობისათვის.

30 ნოემბერს შესდგა საქართველოს მევენახეთა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც იმსჯელა მომავალ სრ. საბჭოთა რესპუბლიკების მევენახეთა ყრილობის შესახებ და გამოიმუშავა ყრილობაზე დასასწრებლად სათანადო გეგმა.

სრ. საბჭოთა რესპუბლიკების მევენახეთა ყრილობა.

მომავალი წლის მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვში გაიხსნება სრულიათ საბჭოთა რესპუბლიკების მევენახეთა წარმომადგენლების ყრილობა. საქართველოდან გაიგზავნება 11 წარმომადგენელი.

დახმარება სახალხო სახლს.

ქ. აღმასკომმა დაადგინა სახალხო სახლის 30 წლის იუბილესათვის გაიღოს ერთდროული დახმარება 5 მილიარდი მან.

სალამო კლუბის სასარგებლოთ.

ორშაბათს 3 დეკემბერს ცირკში გაიმართება სალამო გრანდიოზული პროგრამით. მონაწილეობას მიიღებენ ძმ. ტანტი და ლაზარენკო, მთელი შემოსავალი სალამოდან გადაეცემა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბს.

დახმარება უმუშევრებს.

უმუშევართა დამზღვევი განყოფილება ორშაბათს 3 დეკემბერს დაურიგებს დახმარებას დაუზღვეველ უმუშევრებს.

ტან-ვარჯიშობა ჯარში

უკანასკნელ ხანებში ჩვენი დივიზიის პოლიტგანყოფილებამ ჩაატარა კომპანია ნაწილებში ტანვარჯიშობის გასავრცელებლათ, რისთვისაც დანიშნა მასწავლებლების შესაფერისი კადრი. ეს ადრევე უნდა მომხდარიყო, რადგან წითელ-არმიელის სპეციალურად სამხედრო მომზადებისთვის საჭიროა წინასწარ მისი ფიზიკური მომზადება, გაჯანსაღება. ტანვარჯიშობას მეტად ვიდრე სხვა რამეს შეუძლია წითელ-არმიელის გამოცოცხლება, მისი გაკაჟება და სისხარტის განმტკიცება. ამიტომაც ტანვარჯიშობა უნდა შეტანილ იქნეს მეცადინეობის საერთო პროგრამაში, ისე რომ ტანვარჯიშობის ყოველივე დარგი შეთანხმებული იყვეს საერთო მეცადინეობასთან. ტანვარჯიშობისთვის საჭიროა ისეთი დრო, როდესაც მისი გამოყენება საუკეთესოდ შეიძლება და ადვილათ შეეთანხმება საერთო მეცადინეობას. ამიტომაც დილის მეცადინეობა უნდა იწყებოდეს ტანვარჯიშობით, რათა წითელ-არმიელის სხეულში გაცხოველდეს სისხლის დენა და ამით იგი მომზადდება მეტად ძნელ მუშაობისთვის და მეცადინეობისთვის მთელი დღის განმავლობაში. დილის ვარჯიშობისთვის საჭიროა არა ნაკლები ნახევარი საათისა. იწყება იგი სიარულით და გადადის რბენაში (3-5 წუთამდე) ეს ყოველდღიური რბენა შეაჩვევს მხედარს გამძლეობას. რბენის შემდეგ იწყება თავისუფალი ვარჯიში ასეულებად ან ოცეულებად. ასეულებად იმ შემთხვევაში, თუ ყოველ ასეულს ეყოლება თავისი ტანვარჯიშობის წურთნელი, თუ არა, მაშინ ვარჯიშობა სწარმოებს ოცეულებში, ოცეულის თავის ხელმძღვანელობით, რომელმაც წინასწარ ვარჯიში ტანვარჯიშობის წურთნელისაგან შეისწავლა. თუ სიარული და რბენა გაგრძელდება 5 წუთი, ხოლო თავისუფალი მოძრაობა კი 15 წუთი, დარჩება კიდევ

10 წუთი, რომლის განმავლობაშიაც შეიძლება ჩატარდეს მარტივი თამაშობანი წრეში, ოთურმა ან შეჯიბრებანი რბენაში და სხვა. საერთოდ ყველა ვარჯიშს დილით უნდა ჰქონდეს მასსიური ხასიათი, რომ ყველანი თანაბრათ იღებდენ მონაწილეობას ვარჯიშში.

გარდა დილის სავალდებულო ვარჯიშობისა, ტანვარჯიშობის წურთნელის ხელმძღვანელობით უნდა დაარსდეს ჯომარდობის ყველა დარგების წრეები. მაგ.: იარაღზე ვარჯიშის, მძლეოსნობის, ფარიკაობის, ფეხბურთის, ხელბურთის და სხვა.

ამ წრეებში ვარჯიშობისთვის საჭიროა დაინიშნოს დრო კვირაში სამჯერ მაინც შუადღის შემდეგ, არა ნაკლებ 2 საათისა დღეში. ტანვარჯიშობის წურთნელისაგან არის დამოკიდებული თუ რამდენათ შესძლებს დააინტერესოს წითელ-არმიელნი შუადღის შემდეგ ვარჯიშობისათვის, რადგან ეს ვარჯიშობა ვერ იქმნება სავალდებულო ყველასთვის. მაგრამ თუ დაარსებულია ყველა დარგების წრეები, არც ერთი წითელ-არმიელი არ უნდა დარჩეს ამ წრეების გარეშე. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მეთაურნი დაეხმარებიან ტანვარჯიშობის წურთნელს ვარჯიშობაში პირადათ მონაწილეობის მიღებით. ამით მეთაურნი წაახალისებენ წითელ-არმიელთ სავარჯიშოთ, ეს ერთი და გარდა ამისა ცალკე წრეებსაც ისინი უხელმძღვანელებენ.

ნაწილის მეთაურის მოვალეობას კი შეადგენს ყოველივე ზომების მიღება, რათა ყველა მეთაური რაიმე მონაწილეობას ღებულობდეს ტანვარჯიშობაში. ამით შევსძლებთ ჩვენ გავაჯანსაღოთ და გავაკაჟოთ ს. რესპუბლიკის დამცველი-წითელ-არმიელი.

გიტო.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

9.

1821 წელს გამოვიდა კვირეული გაზეთ „წმიდა გიორგი“, რომელმაც იარსება 3 წელი.

1828 წელს გამოვიდა ყოველდღიური სალიტერატურო გაზეთი „ტფილისის უწყება“. ამავე წლის ბოლოს გამოვიდა თვიური სალიტერატურო ჟურნალი იმავე სახელით.

1852 წელს გამოვიდა თვიური ჟურნალი „ცისკარი“ გიორგი ერისთავის რედაქტორობით.

1863 წელს გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. ამ ჟურნალის გარშემო შემოკრებილ იქნა მაშინდელი საუკეთესო ძალები. ეს ჟურნალი დიდი ისტორიული მნიშვნელობის არის ქართულ ლიტერატურაში. აქედან ჩაღდება სასტიკი ომი ძველსა და ახალ მწერლებს შორის.

1869 წელს გამოდის თვიური სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“ ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით.

1908 წელში გამოდის გაზეთი „დროება“.

ზემოხსენებულ წლებში გაზეთებთან ერთად გამოდიოდა ერთდროული ჟურნალები და იბეჭდებოდა წიგნები. გაზეთები წმიდა ლიტერატურული ხასიათის იყო. პოლიტიკური შინაარსის წერილები არ მიდიოდა. თუ რამ ასეთებს ადგილი ექნებოდა, მაშინვე სტამბას დაბეჭდავდენ.

1832 წელს მოხდა ფარული ხელშეკრულება რუსეთის საწინააღმდეგოდ. გამოშვებულ იქნა მოწოდებები. გაიგო თუ არა მთავრობამ, მაშინვე დახურა ყველა ქართული სტამბები. სტამბის გამგეება და ასოთამწყობები დააპატიმრეს. შეთქმულების წევრები შეიპყრეს და ყველანი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში გადაასახლეს.

აქედან სწყდება საქართველოში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. მაგრამ დაინიშნა თუ არა ამიერ კავკასიაში მეფის მოადგილედ ვორონცოვი, საქმე გამოკეთდა. ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენში გამომცემლობის საქმეს. მან განაახლებინა სტამბების მუშაობა, ნება დართო წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა. მისივე ნებართვით და დახმარებით გიორგი ერისთავმა შეადგინა დრამატიული დასი და დაიწყო პიესების წერა, აქ ჩაეყარა საფუძველი ქართულ თეატრს.

წინა წერილებში ჩვენ გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა წიგნი და როგორ ვითარდება ის საუკუნეთ განმავლობაში. ჩვენ ვიცით ისეთი დრო, როდესაც არსებობდა რამდენიმე წიგნი და ისიც ჯაჭვებით იყვენ დაბმული. მაგრამ გამოიგონეს თუ არა ბეჭდვა, წიგნები ელვის სისწრაფით გამრავლდა. წიგნმა გასწყვიტა ჯაჭვი და დაიძრა მკვდარი წერტილიდან. დღეს არ არსებობს დედა მიწაზე არც ერთი კუთხე, რომლის ამბავი ჩვენ არ ვიცოდეთ. ჩვენ დღეს ვიცით, თუ რა ხდება ამ ჟამად დედამიწის მეორე ნახევარში, როგორ ცხოვრობს იქაური ადამიანი და რას ფიქრობს ის. და ყოველივე ეს ჩვენ ვიცით წიგნის საშვალებით. წიგნი ჯადოსნური სარკეა. ჩაიხედეთ შიგ და თქვენ დაინახავთ კაცობრიობის წარსულს, აწმყოსა და მომავალსაც კი. წიგნი ყოველივე მომავლისათვის საძირკველია, რომელზედაც აშენებს კაცობრიობა თავის დაუსრულებელ შენობას.

ი. ს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

საკითხი ნავთის წარმოშობის შესახებ ერთობ აინტერესებს თანამედროვე მეცნიერებას და არა ერთ გეოლოგს და ქიმიკოს უცდია თავი მისი წარმოშობის შესახებ საკუთარი თეორიების წამოყენებაში. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ერთმა ფრანგ გეოლოგმა მთელი განხილვა მოახდინა ყველა იმისი, რაც ცნობილი იყო ნავთის შემადგენლობის, მისი ლაბორატორიული შესწავლის, განაწილების და ადგილ მდებარეობის ხასიათის შესახებ. ლონე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ საკითხი ნავთის წარმოშობის შესახებ საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა, ეს უნდა მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საკითხი არ გასცილებია ლაბორატორიების კედლებს, რაც ერთობ დაცილებულია ბუნებრივ პირობებისაგან. მისი საბოლოოდ და ნათელი გამორკვევისათვის საჭიროა გეოლოგიური შესწავლა როგორც ზედაპირის, ისე ნავთის მატარებელ შრეების სიღრმეებისა.

ლონეს შეხედულებით იხელმძღვანელა შოტარმა და შეისწავლა ამერიკის, მექსიკის და კავკასიის ის ადგილები, სადაც ნავთი იმყოფება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განსაკუთრებით ერთობ მნიშვნელოვანია უკვე თავ წავიწყებულ და ხმარებიდან გამოსულ [illegible] ქვების განხილვაო, რადგან ის ქვები საიდანაც უკვე სწარმოებს ნავთის ამოღება, არ სცილდებიან ნავთის მატარებელ შრეების ქვევით. ამიტომ თავწავიწყებული ან სპეციალურად ამ მიზნისათვის ნავთის მატარებელ ადგილების დაშინჯვას შეუძლია გაგვაცნოს ჩვენ მთელ იმ გეოლოგიურ ფორმაციებს, რომლებთანაც თავმოყრილია ნავთის მატარებელი ჯიშები. ნავთის მოპოების გეოლოგიური პირობების განხილვამ ხსენებული სწავლული მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: 1) „გეოლოგია სრულიად არ იძლევა იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ნავთი ჩდებოდეს არა ორგანიულ ნივთიერებათაგან. 2) რომ ნავთის მატარებელი შრეები ყოველთვის მიკუთვნებული აქვს შესაფერ გეოლოგიურ ფორმაციებს. 3) მას აქვს განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ ნავთის მატარებელი შრეები ჩაისახენ ზღვების გარდანაცვლებით რეგრესიების დროს, რომელიც ერთობ ხელს უწყობდა ორგანიულ ნივთიერებათა შესაფერ ჩანაწოლებში თავის მოყრას, და მათ დაცვას ჰაერის მოქმედებისაგან დანალექების ქვეშ. ამიტომ ჩვენ სათანადო საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ნავთი წარმოიშვა.—გაჩდა ორგანიულ ნივთიერებათა დაშლით მარილის მატარებელ ჩანალექებშიო“. ამ დასკვნას ერთობ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მას შეუძლია ადვილად გვიჩვენოს ის ადგილები, სადაც უნდა იმყოფებოდეს ნავთი. ამ დასკვნამდე მივიდა აგრეთვე რუსი სწავლული კალიცკი, მხოლოდ სხვა მეთოდით. მაგრამ ერთი კია, რომ ორთავე სწავლულების აზრით, გეოლოგია არ იძლევა ნავთის არა ორგანიულ ნივთიერებისაგან წარმოშობის შესახებ საბუთებსო.

ზ. ს.

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ.

ორშაბათს 3 დეკემბერს წ. ა. ც. კლუბში იქავე შემდგარ ქართული წარმოდგენების მართველი დასი ხსნის სეზონს უფასო წარმოდგენით წითელ არმიელთათვის. წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“ და ვოდევილი „მონადირე“ წარმოდგენა დაიწყება საღამოს 9 საათზე. ნაწილებს ევალებათ გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებული ბილეთების მისაღებათ კლუბის კონტორაში არა უგვიანეს ორშაბათს დღის 4 საათამდე.

წ. ა. ც. კ. უფროსი კობიძე.

ᲡᲐᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝ ᲐᲜᲣ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ.

7. ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲡᲐᲜ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲫᲕᲔᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ პრესაში არა ერთხელ ყოფილა წამოყენებული ლაშქროსან სისტემაზედ გადასვლის საკითხი, რომლის გარკვევაში მონაწილეობას იღებდენ როგორიც პარტიული, ისე სამხედრო მოღვაწენიც. სამხედრო უმრავლეს პირთა აზრი რუსულ პრესაში ძალიან უარყოფით უყურებდა მილიციონურ სისტემას, როგორც გამოუცდელს ისტორიულ ვითარებაში არ მოხმარებულს და უცნობს. მხოლოდ მათ არ ჰსურდათ წარსულ გამოცდილების გათვალისწინება და მხედველობაში მიღება. მათ ლაშქროსანი ჯარი წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც საზიფათო დროს შეგროვილი მასსა, შეუკავშირებელი, რომლის რაოდენობასა და აღფრთოვანებას უნდა შეეცვალა მუდმივი ჯარის მკიდრო ორგანიზაცია. ამ გვარად უყურებდა წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში ფონდერგოლცი და მოლტკეც.

მაგრამ აი რას ამბობს ჟორესი თავის „ახალ არმიაში“: „კრიტიკულ წუთებში გაღვიძებული ხალხის ენერგიას, წესრიგიანად დაყენებულს და ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს ორგანიზაციით შეკავშირებულს, რესპუბლიკა შეუძლიან დაუძლეველი გახადოს, განსაკუთრებულად, თუ აღფრთოვანებას თან მოჰყვება მეტოდიური მოქმედებანი და მასსებს კი—მართებული დარაზმვა. მილიციისა და მუდმივ ჯარის ერთი ერთმანეთისადმი პირის პირ წაყენება, როგორც ამას ფონ დერ-გოლცი შვრება, სიტყვების თამაშია და განზრახ გაუგებრობის შექმნაა. ძლიერი მილიცია წარმოადგენს ჭეშმარიტად მუდმივ არმიას, [illegible] დაცვის მუდამ მზად მყოფ ხალხს; რომელიც მუდმივად იარაღის ქვეშ იმყოფება“.*) წარსულ იმპერიალისტურ ომის დასაწყისშივე ძველ, მუდმივ, „ძირითად“ ჯარის სისტემის სიკოტრე აღმოჩნდა, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე ომის მოთხოვნილებას. საფრანგეთსა და გერმანიას ომისათვის ბრძოლის უნარის მქონე ხალხის ნახევარი არც ჰყავდა გაწვრთნილი, რუსეთს კი არა უმეტეს ერთი მეხუთედისა **). ომის დროს საფრანგეთმა საბრძოლველად რაც კი ჰყავდა ფეხზედ დააყენა, რუსეთმა კი ომის მესამე წლის ბოლოში შესძლო მოემზადებია მხოლოდ ნახევარი იმისა, რაც რომ განკარგულებაში ჰყავდა. რუსეთში ბრძოლისათვის ვარგისი სამხედრო ვალდებულთა რიცხვი უდრიდა 25 მილიონს. ამ რიცხვიდან მობილიზაციით იყო შეკრეფილი 12 მილიონი, რაც ნამდვილ სამსახურში მყოფთა რიცხვით, 14 მილიონ კაცს შეადგენდა.

საუკეთესოდ გაწვრთნილი და მშვიდობით შეკავშირებული „ძირითადი“ არმია, ომის დასაწყისშივე ისე შეთხელდა, რომ იგი თადარიგიდან მოწვეულ ჯარის კაცთა რიცხვში ერთი მეხუთმეტედი-- ერთი მეოცედი ნაწილი აღმოჩნდა. დაბოლოს იმ გვარი პირობები შეიქმნა, რომ ხალხთა ისტორიულ ბედ-იღბალს სწყვეტდა არა ძირითადი ჯარი, არამედ იმ ჯარის დარგი, რომელსაც ქუდზედ ჯვრედი ეკეთათ და რომელსაც ლაშქარი ჰქვიან. იგივე ითქმის ომისათვის მოსამზადებელ საშუალებათა შესახებ, რომლის მოგვარებაში არც ერთი სახელმწიფო არ იდგა თავის სიმაღლეზედ. არავის არ ჰქონდა წარმოდგენილი ომის იმ გვარი ხანგრძლივობა, ყველა ფიქრობდა მის მოკლე ხანში დასრულებას, ვინაიდან წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ სახელმწიფოთა ეკონომიური დაჭიმვა ვერ გაუძლებდა ხანგრძლივ ბუმბერაზ რყევას.

არავის არ ჰქონდა წარმოდგენილი დამზადებულ სურსათის და მარაგის [illegible] მინელის სისწრაფით ხარჯვა. არავის არ ჰქონდა წარმოდგენილი ის ბუმბერაზი სურათი თანამედროვე ომის, რაიც სინამდვილეში გადიშალა. ამ ომმა ნათლად დაანახვა ყველას, რომ ბრძოლა და ომი სწარმოებდა არა მარტო არმიებს შორის, არამედ სახელმწიფოთა საცხოვრებელ სახსართა და წყაროების შორის, რომ ომში იყო ჩაბმული მეომარ სახელმწიფოთა ყოველი ცოცხალი ძალა მრეწველობა და ამ გვარად იგი გარდაიქცა ხალხურად.

წარსულ ომში ზურგში მყოფი მშვიდობიან ხალხი ომს ამსხვერპლებდა არა მარტო თავის ქონებას, არამედ სიცოცხლესაც, ვინაიდან თანამედროვე ომი დედამიწისა და ზღვის პირიდან ჩაეშვა წყალქვეშ და ზევით ჰაერში ავიდა. თანამედროვე ავიაციის ვითარებამ გვიჩვენა, რომ მომავალ ომში მისთვის ფრონტი არ იარსებებს, მას შეუძლია სახელმწიფოს შუაგულს შეესიოს, გაანადგუროს და ცეცხლის მსხვერპლად გახადოს ქალაქები და სოფლები და მხრჩოლავ და შხამიან ჰაზებით გასწყვიტოს მშვიდობიანი მოსახლეობა. რა უნდა წარეყენოს ამგვარ შემოსულ მტერს? აქ საჭიროა ძლიერი საჰაერო ფლოტის შექმნის გარდა ისეთი ძალის ჩამოყალიბება, რომელიც წინააღუდგება ჰაერიდან შემოსეულ მტერს, რისთვისაც მთელი მოსახლეობა უნდა გაწვრთნილი იყოს, მუდამ ჟამს ბრძოლისათვის გამზადებული და ყოველ საჭირო ალაგას სწრაფად შეგროვების უნარის მქონე სამშობლოს დასაცავად.

თანამედროვე ძირითად არმიას არ შეუძლია მთელი მოსახლეობის მომზადება. წარსულმა ომმა დაგვანახა თუ რა დიდი დრო იყო საჭირო ფრონტისათვის შევსების გაწვრთნა. აქ ძირითადი, ჯარი ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზედ, იგი ვერ აკმაყოფილებდა ომის მოთხოვნილებას.

ამავე დროს მომავალი ომი თავის ხასიათით უეჭველია აუარებელ ხალხის საჭიროებას წარმოაყენებს და ძირითადი ჯარი კვლავ ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, იგი უძლური იქნება.

ამ ამოცანის შესრულება შეუძლია მხოლოდ ლაშქროსან სისტემას, რომელიც მთელ მოსახლეობას განუწყვეტლივ მიაწოდებს სამხედრო მომზადებას იმ გვარად, რომ სახელმწიფოს ამ დიდი საქმის შესრულებაში არ დააწვეს მძიმედ და ამავე დროს საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ტერიტორია დაიფაროს ყოველმხრივ საუკეთესოთ და უმწიკვლოთ გაწვრთნილი ჯარებით.

ყოველი სამხედრო-ვალდებული მოქალაქე, განსაზღვრულ ხნოვანების დაკანონებულ ფარგლებში უნდა ითვლებოდეს ტერიტორიალურ ჯარების ნაწილებში, სადაც იგი მშვიდობიან დროს სამხედრო მომზადებას მიიღებს და ომიანობის დროს კი იგი მიიღებს მონაწილეობას ბრძოლაში. ამ გვარი ლაშქროსანი ჯარი, რაც ჰგულისხმობს სახელმწიფოს მთელ ხალხის შეიარაღებას, რომელიც მთელი თავის საშუალებებით და სახსრით მოვალეა მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში.

გ. ბარნაბიშვილი.

---

*) ჟან ჟორესი „Новая армия“ მე-100 გვ.

**) Потапов. Милиционная система и условия ее применения.

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1200.
სამხედრო სტამბა
პასუხის-მგებელი რედაქტორი—დ. ხიზნიძე.